

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

სხდომის ოქმი №1

ლანჩხუთი

30.11.2017 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ვერიკო კვიციანი.

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ზოლქვაძე, გოდერძი ქურიძე, კახაბერ ასკურაფა.

აგრეთვე ესწრებოდა: მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში - მაია კუპატაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის
პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

2. „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ 2017 წლის 21 ნოემბერის №440 ინიციატივის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

3. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №443 პეტიციის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

4. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №444 პეტიციის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

5. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №442 პეტიციის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

6. სხვადასხვა.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

2. „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ 2017 წლის 21 ნოემბერის №440 ინიციატივის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

3. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №443 პეტიციის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

4. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №444 პეტიციის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

5. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №442 პეტიციის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. კვიციანი/

6. სხვადასხვა.

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი, კომისიის წევრებს მოახსენა ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მიერ წარმოდგენილი განცხადება

ფრაქციის დაფუძნების თაობაზე და განმარტა, რომ დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ ეს ფრაქცია არ არის პოლიტიკურ მოტივებზე შექმნილი და მისი მიზანია, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა საქმიანი თანამშრომლობა, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის სასარგებლო ინიციატივები და წინადადებები.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

2. „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ 2017 წლის 21 ნოემბერის №440 ინიციატივის განხილვის შესახებ“.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ მიერ შემოსული პეტიცია, სადაც მითითებულია, რომ დაინტერესებულ პირებთან საკრებულოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე გაიგზავნოს ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების და/ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ასკურავამ დასძინა, რომ იდეა არ არის ცუდი და მიესალმება ამ კუთხით ცვლილებას.

კომისიის წევრების მიერ საკითხზე შენიშვნები არ გამოთქმულა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პეტიციის შესაბამისად დადგენილების პროექტის მომზადება.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

3. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №442 პეტიციის განხილვის შესახებ“.

ვერიკო კვიციანიამ სხდომის წევრებს ასევე მოახსენა, რომ საკრებულოში შემოსულია რამდენიმე პეტიცია, რომლის ავტორია საინიციატივო ჯგუფი დავით გოგიჩაიშვილის, ეთერ ჭყონიასა და ია გოროზიას შემადგენლობით. გაგაცნობთ №442 პეტიციას, რომელშიც აღნიშნულია, რომ შეიქმნას პეტიციის წარდგენისათვის შესაბამისი ელექტრონული პლატფორმა/აპლიკაცია, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

კომისიის წევრების მიერ საკითხზე შენიშვნები არ გამოთქმულა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პეტიციის შესაბამისად დადგენილების პროექტის მომზადება.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

4. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №443 პეტიციის განხილვის შესახებ“.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ სხდომას მიაწოდა ინფორმაცია, რომ პეტიცია ეხება საკრებულოს წევრის ანგარიშგების წესსა და პროცედურებს, და პეტიციის ავტორები მიიჩნევენ, რომ არსებული წესი იყო ზოგადი და საჭიროებდა დაზუსტებას.

ვერიკო კვიციანიამ განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლში დაწვრილებით გაწერილია საკრებულოს წევრის ანგარიშგების წესი და პროცედურები, შესაბამისად იგი არ საჭიროებს დამატებით დაზუსტებას.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პეტიციის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

5. „2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №444 პეტიციის განხილვის შესახებ“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო საკითხი ეხება გამგებლის/მერის წარმომადგენლის ანგარიშგების წესსა და პროცედურებს, სადაც პეტიციის ავტორები მოითხოვენ, რომ წარმომადგენლის მიერ ანგარიშის მომზადება გახდეს სავალდებულო და დაზუსტდეს წარდგენის პერიოდი.

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის დებულების 14-ე მუხლის შესაბამისად გამგებლის/მერის წარმომადგენლების ფუნქციები იმდენად შეზღუდულია და ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მისი ანგარიშგება გამგებელთან/მერთან პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ანგარიშგების წესის და პროცედურების დაზუსტება. ამასთან, პეტიციაში არ არის დაზუსტებული თუ ვის წინაშე უნდა იყვნენ ისინი ვალდებული, რადგანაც საკრებულოს წინაშე ვერ იქნებიან, ვინაიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის „გა“ პუნქტის შესაბამისად

საკრებულოს ანგარიშს აზარებს მხოლოდ თანამდებობის პირები, ხოლო წარმომადგენლები თანამდებობის პირები არ არიან.

აზრი გამოთქვას: კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ წარმომადგენლები არიან შტატგარეშე მოსამსახურეები, ფუნქციები აქვთ საგრძნობლად შეზღუდული და რატომ უნდა დავავალოთ მათ ანგარიშის ჩაბარება.

კახა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ წარმომადგენლებს დაუბრუნდებოდათ გარკვეული უფლებები, შესაძლებელი გახდებოდა ანგარიშგების წესის განსაზღვრა.

გოდერძი ქურიძემ აღნიშნა, რომ იგი ვერ ხედავს წარმომადგენლების მიერ საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულების აუცილებლობას.

კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია პეტიციის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: *კ. კვიციანი* ვერიკო კვიციანია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №1

ლანჩხუთი

30.11.2017 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების კანონთან შესაბამისობა.

კომისიამ დაადგინა, რომ ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ სრულად აკმაყოფილებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მოთხოვნებს.

კომისიის თავმჯდომარე:

ვ. სუიჩველია

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №2

ლანჩხუთი

30.11.2017 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ 2017 წლის 21 ნოემბერის №440 ინიციატივა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის 12-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება.

კომისიის თავმჯდომარე:

ვ. სურგულაძე

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №3

ლანჩხუთი

30.11.2017 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა პეტიციის წარმდგენი სუბიექტების/მომხსენებლების (დავით გოგიჩაიშვილი, ეთერ ჭყონია, ია გოროზია) მიერ 2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №443 პეტიცია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის 12-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიამ მიზანშეწონლად მიიჩნია მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება.

კომისიის თავმჯდომარე:

3-5704532-0

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №4

ლანჩხუთი

30.11.2017 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა პეტიციის წარმდგენი სუბიექტების/მომხსენებლების (დავით გოგიჩაიშვილი, ეთერ ჭყონია, ია გოროზია) მიერ 2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №444 პეტიცია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის 12-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება №13 131-ე მუხლის შესაბამისად კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

ქ. სვიციკიძე

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №5

ლანჩხუთი

30.11.2017 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა პეტეციის წარმდგენი სუბიექტების/მომხსენებლების (დავით გოგიჩაიშვილი, ეთერ ჭყონია, ია გოროზია) მიერ 2017 წლის 21 ნოემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი №442 პეტიცია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის 12-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება პეტეციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

3. ავთიხვასიძე

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

30.11.2017 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვიციანი	11:30 სთ.	3-52003
2	კახა ბოლქვაძე	11:55 სთ.	
3	გოდერძი ქურიძე	11:50 სთ.	3-1-1-1
4	კახაბერ ასკურავა	12:00 სთ.	